№ 23
(11 275)
26 - 29 მარტი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველო – სლოვენია 27. III. 99

UEFA EURO 2000

სლოვენიის ნაკრები

ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება

ასეთი ბურუსით მოცული საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ჯერ არასდროს ყოფილა. კონფლიქტური სიტუაციები, როგორც ნაკრების ხელმძღვანელობა აცხადებს, თითქოს არ არის, მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებს. ჭირვეულობენ ნაკრების წევრები, მიზეზს კი, ცხადია, რა გამოლევს. ჯანაშიამ ცნობაც კი გამოაგზავნა ავადმყოფობის თაობაზე, თუმცა, თბილისში იგი მაინც ჩამოვიდა. მაგრამ მთავარი ხომ თამაშია, სამშობლოს მონატრებასთან ერთად. არჩილ არველაძე კვირაზე მეტია ჩამოსულია, მაგრამ ინტენსიური ვარჯიში ვერ შეძლო ავადმყოფობის – მაღალი ტემპერატურის გამო. ტრავმა აწუხებს შოთასაც. ქინქლაძე ვარჯიშობს, მაგრამ დამკვირვებლები მასში იმ ძველ ცეცხლოვან ფეხბურთელს ვეღარ ხედავენ. ქეცბაიას კი თუ იქეთ არ შეეხვეწებოდა ნაკრების ხელმძღვანელობა, სათამაშოდ ჩამოსვლაზე ფეხს ითრევდა. ასეა თუ ისე, ქეცბაია მაინც ჩამოვიდა თბილისში და, იმედია, ამბიციებს არ შეეწირება ეროვნული ინტერესები. საერთოდ, ნაკრებში ფსიქოლოგიური განწყობა, სასურველიაო, არ ითქმის. თუ იმასაც ვიტყვით, რომ უკრაინელებთან ამხანაგური შეხვედრაც არ ატარებდა იმ დატვირთვას, ნაკრებს საპასუხისმგებლო მატჩის წინ რომ უნდა ახლდეს, ბურუსი ისევ გაუფანტავი რჩება. რას გამოვიტანთ ამ ბურუსიდან სლოვენიელებთან მატჩში ხვალ დავინახავთ.

მეტოქეთა მწვრთნელებიც ჩამოდიან

სლოვენიის ნაკრებთან ჩვენი ეროვნული ნაკრების მატჩზე დასწრებისა და მეტოქეთა თამაშის ხილვის სურვილი განუცხადებიათ ევროპის შესარჩევ ტურნირში ჩვენი ქვეჯგუფის გუნდების მწვრთნელებს. ალბანეთიდან თბილისში მოელიან მთავარ მწვრთნელს ასტრიტ ჰაფიზს, ნორვეგიიდან მეორე მწვრთნელს – ალფრედ გუსტაფსონს.

ახალი ამბები სფფ-დან

სტადიონის ბილეთები სპორტის სასახლის სალაროებში

ჩვენს ეროვნულ სტადიონზე წესრიგის დამყარების ღონისძიებებში სიახლეა – თამაშის დღეს, ამჯერად სლოვენიასთან მატჩის დაწყებამდე, სტადიონზე შესასვლელი ბილეთები გაიყიდება მხოლოდ თბილისის სპორტის სასახლის სალაროებში. ეს ღონისძიება გულშემატკივრებს აიძულებს წინასწარ შეიძინონ ბილეთები უშუალოდ სტადიონის სალაროებში. თამაშის დღეს კი სტადიონის მისადგომებთან გაატარებენ მხოლოდ ბილეთიანებს და უბილეთოები შესასვლელ კარებთან ვეღარ მოხვდებიან, რაც გამორიცხავს ტრიბუნებზე მათ შეჭრას იერიშით და სფფ-ს მოსალოდნელი სანქციებიდან იხსნის.

ბავშვებისთვის 5 ათასი ბილეთის გაყიდვის ნება უეფამ არ დაგვრთო

ამ თხოვნით მიმართა უეფას სფფ-მ, მაგრამ პასუხი უარყოფითი მოვიდა. ცხადია, ეს სამწუხაროა, თუმცა, სხვა გზა არ არის, წესების დაცვა ყველას მოეთხოვება. დავძენთ, რომ ერევანში, რაზდანის სტადიონს, საერთოდ, უფროსებისთვისაც კი მხოლოდ 2 ათასი ბილეთის გაყიდვის უფლება აქვს, რადგან იქ, ტრიბუნებზე, სწორედ ამდენი სავარძელია დამონტაჟებული ჯერჯერობით.

უპრეცედენტო შემთხვევა

იმის გამო, რომ სფფ-ს ანგარიშს ყადაღა აქვს დადებული და შეწყვეტილია საბანკო ოპერაციები, ჩვენი საფეხბურთო ორგანიზაცია ჩიხში მოექცა. სტუმარი გუნდი, როგორც წესი, მასპინძელმა თავის ხარჯზე უნდა მიიღოს, სფფ-ს ბანკმა კი, როგორც ვთქვით, გზა ჩაუკეტა. კიდევ კარგი სლოვენიელები დათანხმდნენ, რომ ისინი თავად გადაიხდიან სასტუმროს ფულს, მაგრამ ჩვენებს იგივეს გაკეთება მოუწევთ სტუმრად. ასეთი რამ უპრეცედენტო შემთხვევა ყოფილა, ფიფა-უეფას პრაქტიკაში. ახლა თავსატეხია მსაჯების ანაზღაურება. სხვათა შორის, უკრაინელების მიღების ხარჯებიც ვალად აწევს სფფ-ს.

სენსაცია!!!

თემურ დათიკაშვილს რინგზე ვიწვევ სპორტის სასახლეში, მომზადებისთვის თვენახევარს ვაძლევ. მთავარი მსაჯიც შევარჩიე – ნოდარ ქიქავა. შემოსავალს ეროვნულ ნაკრებს მოვახმარ – აცხადებს ლევან მოსეშვილი.

ეს განცხადება ლევან მოსეშვილმა გუშინ გააკეთა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესამსახურის თაოსნობით გამართულ პრესკონფერენციაზე. თანაც დასძინა, რომ სრულებითაც არ ხუმრობს და ჟურნალისტებს სთხოვა, ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონ და დაწერონ. არ გამორიცხა ისიც, რომ შესაძლებელია მეორე მატჩიც გაიმართოს მას და დათიკაშვილს შორის. ამჯერად უკვე ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში. მოსეშვილი დარწმუნებულია, რომ ორივე შეხვედრაში გამარჯვება მას დარჩება. ჟურნალისტების თხოვნით კი, იქვე დააზუსტა, რომ ეს იქნება ბრძოლა წესების გარეშე.

ამ განცხადებას ლევან მოსეშვილმა წინ წაუმძღვარა მთელი რიგი არგუმენტები, რამაც ასეთ იძულებით გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. მთავარი, მაინც ისაა, რომ რინგზე ამ ორთაბრძოლით აშკარად გამოჩნდება მისი ფიზიკური შესაძლებლობები და რომ ავადმყოფი კაცი, რასაც მას ბრალად სდებენ, ასეთ რისკზე არ წავა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი გულნატკენია მის მიმართ დღეს კალათბურთში მოღვაწე ზოგიერთი ახალგაზრდის არაკორექტული დამოკიდებულებით, რომლებსაც არ სურთ გაიგონ თუ რა ხდება ქართულ კალათბურთში, რამ გამოიწვია შედეგების დაქვეითება და ცდილობენ ყველაფერი ახსნან იმით, რომ თითქოს უბედურების თავიდათავი მოსეშვილის ავადმყოფობაა.

ლევან მოსეშვილი

— ავად ყველა შეიძლება გახდეს, მე მოვითხოვდი და მოვითხოვ წამომიყენონ კონკრეტული ბრალდება თუ რაში მედავებიან, დამიმტკიცონ რომ არ ვარ კომპეტენტური, რა არ მოსწონთ ჩემი, სპორტული წარსული, მწვრთნელ-პედაგოგობა, განათლება, ადამიანობა თუ რა. ასე შეიძლება ვერაზე გავლაც ამიკრძალონ და გასეირნების დღეები და საათები დამიწესონ. კმარა, ყველაფერს საზღვარი აქვს, შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ. მთელი ცხოვრება ომში ვარ, ამ ომს ჰქვია კალათბურთი, და ბრძოლაში განზე არასდროს გავმდგარვარ. კალათბურთი ჩემი სიცოცხლეა და ასე ხელისაქნევით უნდა დავყვე ვიღაცეების ამბიციებს? ეს ხომ იმას ნიშნავს საკუთარი ნებით გამოვესალმო სიცოცხლეს. მავანთა ჭკუაზე იმიტომ უნდა გავიარო, რომ ფული არ მაქვს სხვებივით, — თქვა მოსეშვილმა.

მერე ისიც აღნიშნა, რომ ქართული კალათბურთი არ დანგრეულა და არ დაღუპულა. რომ იგი ოპტიმისტია და მომავლის სჯერა. ცხადია, ქართულ კალათბურთს ხელშეწყობაც უნდა. დღემდე სახელმწიფოს ერთი თეთრი არ გაუღია, შედეგებს კი ითხოვენ.

კითხვაზე მოიწვევენ თუ არა სტეფანიას ნაკრებში, ლევან მოსეშვილმა უპასუხა, რომ ყველაფერს წყვეტს ფინანსები. გზის ხარჯები მაინც ხომ უნდა აუნაზღაურონ. ამასთან, ძალზე დიდი თანხაა გადასახდელი სპორტსმენის დასაზღვევად. ისე, ჩვენი ელჩი ამერიკაში თედო ჯაფარიძე გაფრთხილებული ყოფილა, რომ ყველა შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ფედერაციას სტეფანიას მოსაწვევად ნაკრებში.

ბოლოს მთავარმა მწვრთნელმა ახალი ამბავიც გვაუწყა — ნაკრების მეორე მწვრთნელად დაინიშნება ვაჟა მხეიძე, რომელიც ჩინებულად იცნობს ლევან მოსეშვილის მუშაობის სტილს, იგი კარგი სპეციალისტია და თუ მთავარი მწვრთნელი კიდევ გახდება ავად, გუნდს პატრონი ეყოლება, შეიძლება ხელმძღვანელობას მიხეილ ქორქიაც დაემატოს, კლუბს კი კიდევ ერთი მენეჯერიც ეყოლება.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირი

ბეგი დარჩიას შეგირდებმა კარგად დაიწყეს

კარგა ხნის „დუმილის" შემდეგ, ბერძნულ-რომაული სტილის ჩვენმა მოჭიდავეებმა კვლავ მიიქციეს ყურადღება. საკმაო დრო გავიდა, რაც მათ ტურნირებში არ უასპარეზიათ და ამჯერად მათი გამოჩენა ხალიჩაზე, შეიძლება ითქვას, სასიამოვნო სიურპრიზად იქცა. ეს მოხდა ტაშკენტში, „ა" კატეგორიის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში ქვეყნის „პრეზიდენტის თასზე". საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრა ტურნირზე. უფროს მწვრთნელს ბეგი დარჩიას ნაკრებისთვის უძლიერესთა შერჩევის ამოცანა აქვს გადასაწყვეტი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების წინ. ტაშკენტის ტურნირი კი ის ეტაპი იყო, საიდანაც მწვრთნელი პროგრამის რეალიზებას იწყებს.

შემადგენლობით ტაშკენტის ტურნირი მართლაც შთამბეჭდავი იყო — 69 ქვეყანამ მიავლინა ფალავნები და, ცხადია, ამოცანა და ორიენტირი სხვებსაც იგივე ჰქონდათ, რაც ჩვენებს. სასიხარულოა, რომ საქართველოს ფალავნებიდან ნახევარზე მეტი შინ მედლით დაბრუნდა. თანაც მონაპოვარში ოქროს ორი ჯილდოა. ერთი მათგანი წმინდა ქართულ ფინალშია მოპოვებული — ტარიელ მელელაშვილი შეხვდა თანაგუნდელ ხვიჩა ბიჩინაშვილს (ორივე 76 კგ. წონაში ასპარეზობდა). მელელაშვილმა გაიმარჯვა 4:3. მეორე „ოქრო" გიორგი ჯინჭველაშვილის (69) წილად მოდის, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს ტურნირი. ვერცხლის მედალი, როგორც მიხვდით, ბიჩინაშვილს ხვდა, თითო „ბრინჯაო" კი ემზარ მახარაძემ (III) და თამაზ გოგელიამ მოიპოვეს (მძიმე).

ლაშა ტატიკაშვილი

თემა განსჯისათვის

მიმიშვით ღუმელთან...

ქართულ სპორტს ბოლო ხანებში მღელვარების დღეები დაუდგა და, საუბედუროდ, ეს უფრო შიდააშლილობასთანაა დაკავშირებული

ამჯერად კალათბურთზე ვისაუბრებთ. სამწუხაროდ, საქმეები დალაგებული არც სპორტის ამ სახეობაშია და, ამთავითვე ვიტყვით, რომ თუ ეროვნული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი გოგი ქათამაძე აღებულ პრინციპულ კურსს ბოლომდე დაიცავენ, მდგომარეობა უთუოდ გამოსწორდება. ჩვეულებრივ აბსურდული სიტუაციები, ასევე აბსურდული მიზეზებიდან წარმოიშობა ხოლმე. ცხადია, როცა ეროვნული ნაკრები კატასტროფულად აგებს საპასუხისმგებლო მატჩებს, მიზეზებში უთუოდ უნდა გავერკვეთ, მაგრამ თუ ამ ძიებაში პიროვნული ამბიციები წამოყოფს თავს, სიმართლე და ჭეშმარიტება ვერ დადგინდება. ჩაღრმავებაც არ უნდა იმას, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მოსეშვილის წინააღმდეგ ატეხილი აჟიოტაჟი უფრო პიროვნული დაპირისპირების ფონზე წარიმართა. თუ ასე არ არის, რას ნიშნავს ის, რომ მავანს და მა-

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი, საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ***მანუჩარ მაჩაიძე*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მილოცვა

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" დაბადებიდან 55 წლისთავს ულოცავს ვეტერან მოჭიდავეს, ამავე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს ***ზურაბ ჯორჯიკიას.*** ***იხ. მე-2 გვ.***

მიმიშვით ღუმელთან...

(პირველი გვერდიდან)

ვანს, მათ შორის ფედერაციის ზოგიერთ ფუნქციონერს, თურმე ქართული კალათბურთის ხსნის პროგრამა გააჩნია, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ამ პროგრამას თავად გაუკეთებენ რეალიზაციას თუ ეროვნული ნაკრების სათავეში სხვა პიროვნება მოვა. ეს ხომ ულტიმატუმია. ვითომ დუმელთან მისვლაა აუცილებელი, ცეცხლს რომ შეშა

შეუკეთო? გადაწოდებაც ხომ შეიძლება! თქვე კაი ხალხო, მაინც-დამაინც ლევან მოსეშვილი უნდა წავიდეს, რომ საქმეს მიხედოთ? ეს რა პატრიოტიზმია! რატომ არავინ ამბობს, რომ ის, რაც ხდება ქართულ კალათბურთში და, რაც ეროვნული ნაკრების სარკეში აირეკნება, მხოლოდ ერთი პიროვნების, კონკრეტულად ლევან მოსეშვილის დანაშაული სულაც არ არის. იქნებ მთავარ მიზეზებზე ყველა ერთად დაფიქრებულიყო, იქნებ გათიშულობისთვის თანხმობა და ერთად დგომა დაგვეპირისპირებინა. ასეთ, ჯანსაღ ატმოსფეროში კი, არა გვგონია, დღეს საქართველოში ლევან მოსეშვილზე უკეთ ვინმემ შეძლოს კრიზისიდან გამოსვლა. მოსეშვილს, მართალია, აქვს თავისი პრინციპები, მაგრამ ის ხომ ამ პრინციპებს ნაკრების პრესტიჟის ამაღლებას უხამებს. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა კანდიდატურას, ვისაც სურდა ნაკრებს გაძღოლოდა, მაგრამ მოსეშვილი მაინც სხვა სიმაღლეა, ალბათ, არც შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი ჩვენს კალათბურთში იგივეა, რაც ნოდარ ახალკაცი იყო ფეხბურთში. ასეთ ხალხს მეტი დაფასება და თანადგომა ესაჭიროებათ და არა გზიდან ჩამოსაცილებლად ინტრიგების ქსელის გახლართვა. მწარე გამოცდილებაც ხომ გაკვეთილი უნდა იყოს – განა ასე არ მოვიძულეთ და ვაიძულეთ ქვეყნიდან წასულიყვნენ ფეხბურთის ნიჭიერი მწვრთნელები?

ახლა წინ გვაქვს მაისი, როცა ჩვენი ნაკრები ევროპის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო მატჩებს ჩაატარებს. ასეთი განწყობა კი, დღეს რომ სუფევს ნაკრებში და მის ირგვლივ, გუნდს და მის ხელმძღვანელობას ნამდვილად არ წაადგება, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, განწყობა კი მოგეხსენებათ, მაინც ბევრს ნიშნავს. არ ვამწვავებთ სიტუაციას, მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: ნაკრებ გუნდში თუნდაც უბრალო ყოფითი პრობლემების მოგვარებისთვის არა გვგონია აუცილებელი იყოს მთავარი მწვრთნელის შეცვლა. რას ვთხოვთ კალათბურთელებს და მათ თავკაცებს, როცა თურმე ისინი თვეობით არ იღებენ ხელფასსაც კი? თუ პრობლემების გადაჭრა თუნდაც ასეთი წვრილმანი საკითხების მოგვარებით არ დაიწყო, გვერწმუნეთ, ლევან მოსეშვილის ოპონენტები მაისის ბოლოს ხმამაღლა ნამდვილად იტყვიან: „აკი ვამბობდით, ძველი ხელმძღვანელობის ხელში ნაკრები ვერ იხეირებსო...“

მიმომხილველი

ნუ დაკარგავ ძველსა გზასა...

თუ სურვილი გაქვს, სიკეთეს ყოველთვის გააკეთებ...

ამ პრინციპით ცხოვრობდა და ცხოვრობს ზურაბ ჯორჯიკია

ორი წლის წინ, სენაკში დავესწარი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის იქაური მწვრთნელის კარლო ჯოჯუას საიუბილეო საღამოს, რომელზეც ბევრი რამ ითქვა ამ ამაგდარი აღმზრდელის პედაგოგიურ ალღოზე. მისი აღზრდილების ჩამონათვალი იმდენად შთამბეჭდავი გახლდათ, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ცნობილი მოაროული ფრანგული გამოთქმის — ტალანტები პერიფერიაში იბადებიან და დედაქალაქში აგრძელებენ ცხოვრებას, — ჭეშმარიტებაში, რადგან მოჭიდავეთა სენაკური იმპორტი, რომელმაც თბილისში განაგრძო ცხოვრება, საკმაოდ თვალსაჩინო კლასის სპორტსმენებს იტევს. მათ შორის, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, არის მრავალგზის ყოფილი სსრ კავშირის, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს არაერთგზის პრიზიორი შოთა მორჩილაძე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ კანკავა, სსრ კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატის პრიზიორი დათო ლატარია, სპორტის ოსტატები ემზარ მორგოშია, ზურაბ ჯორჯიკია და მრავალი სხვა. მოჭიდავეთა ამ ჯგუფმა უკვე კარგა ხანია ვეტერანთა რიგებში გადაინაცვლა და ე.წ. სამოქალაქო სამსახურში ჩადგა, მაგრამ კვლავ არ ივიწყებს ახალგაზრდობის გატაცებას და ბევრი დიდ უურადღებას უთმობს ჭიდაობას.

ერთ-ერთი მათგანი ზურაბ ჯორჯიკია გახლავთ, რომელიც ერთ დროს კარლო ჯოჯუას აღზრდილთა შორის, პირველ ყოვლისა, მხოლოდ მოჭარბებული ძალ-ღონით გამოირჩეოდა, რაც მწვრთნელმა სათანადო „კალაპოტით“ წარმართა და შედეგმაც არ დააყოვნა, აღმასვლა რაიონის სამგზის ფალავნობით დაიწყო, მერე სოხუმში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ გამარჯვებულის სახელი მოიპოვა, შემდეგ ოჯახი აფხაზეთში გადასახლდა და სამგზის გახდა ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონი. საქართველოს პირველობაზე კი გივი კარტოზიას მწვრთნელს გოგი ვარძელაშვილს მოსწონებია, თავისთან უხმია ახალგაზრდა მოჭიდავე და ფიზკულტურის ინსტიტუტში შესასვლელად გაუწევია რეკომენდაცია — ეს ბიჭი გამოგვადგება, არ დაგვეკარგოსო. ორიოდე წელიწადში ზ. ჯორჯიკია გახდა ამიერკავკასიის ტურნირის გამარჯვებული და საქართველოს სპარტაკიადის პრიზიორი. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ამ სასწავლებლის სპორტსმენები თეირანში მსოფლიო უნივერსიადაზე წასასვლელად ემზადებოდნენ და მოჭიდავეთა გუნდი ზ. ჯორჯიკიათი გააძლიერეს, მაგრამ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ურთიერთობის დაძაბულობის გამო გამგზავრება ჩაიშალა. იურიდიული განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ რაიონში გაამწესეს სტაჟიორ-გამომძიებლად, შემდეგ თბილისის პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად დაწინაურეს. 1980 წელს კი სენაკის რაიონის პროკურორად გადაიყვანეს. ამ პოსტზე თავსაყრელად ჰქონდა საქმე და სად ეცალა იმისათვის, რომ მხარში ამოსდგომოდა მოჭიდავეებს და რაიმე დახმარება გაეწია მათთვის, ასეთ „კანონის კაცს“. მაგრამ, არა!

— სენაკში რომ ჩავედი, — იხსენებს დღეს სასჯელთა აღსრულებისას კანონების დაცვაზე ზედამხედველობის თბილისის პროკურორი.

— მეორე დღესვე საჭიდაო დარბაზს მივაშურე, სადაც ჩემი პედაგოგი და მეგობრები ავარჯიშებდნენ ბავშვებს. კეთილმოუწყობელი იყო იქაურობა, ხალიჩაც კი არ ჰქონდათ.

ერთ დღეს დავიბარე წარმოებადაწესებულებებისა და ტრესტების ხელმძღვანელები და ჩემი გეგმა გავაცანი: მოზარდებისთვის ორსართულიანი საჭიდაო დარბაზის აშენება მაქვს გადაწყვეტილი და ვისაც რამდენი შეგიძლიათ, შეგვწიეთ-მეთქი. განსაკუთრებით ერთ-ერთი წარმოების ხელმძღვანელმა (ამჟამად პარლამენტარმა) დემურ გადელიამ გამოიდო თავი. ჩვენი სამუშაო დღე ყოველ დილით 7 საათისთვის სამშენებლო ობიექტზე იწყებოდა. ექვს თვეში ჩინებული ორსართულიანი სპორტული დარბაზი ჩადგა მწყობრში. 1987 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ სპორტის სასახლიდან ოლიმპიური ხალიჩა წავიღეთ, ვითომ დიდი ტურნირის გასამართავად. გენახათ, როგორი ხალისით მოდიოდნენ უმაწვილები დარბაზში სავარჯიშოდ — სხვადასხვა ასაკის 1600 მოზარდი მოვწყვიტეთ ქუჩას. ახალგაზრდა, რომელიც სპორტითაა დაკავებული, ქუჩას მოწყვეტილია და გამრუდებული გზით სიარულის ნაკლები შანსი აქვს. ჩემდა საბედნიეროდ, პროკურატურაში მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში სპორტსმენი დამნაშავე არ შემხვედრია. პირადად ჩემთვის კი სპორტი — ახალგაზრდობისას და დღესაც ფიზიკური და სულიერი ძლიერების წყაროა. მისი მეშვეობით გამომიმუშავდა ჟინი, გამძლეობა, ჭიდაობის ილეთების ცოდნასაც არაერთხელ ვუხსნივარ განსაცდელისაგან საშიშ დამნაშავეებთან შებრძოლებისას.

იუსტიციის უფროს მრჩეველს 55 წლის ზურაბ ჯორჯიკიას დღესაც მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენს ჭიდაობასთან, იგი საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდის“ თავმჯდომარის მოადგილეა, დიდ დახმარებას უწევს ამ საზოგადოებას აქტიურ საქმიანობაში. წარმოიდგინეთ, ჭიდაობის სამყაროსთან ურთიერთობა, ოდნავაც არ აკნინებს მისი პროფესიული კვალიფიკაციის სრულყოფას, პირიქით, ეხმარება კიდეც საქმიანობაში.

კაცი ოჯახითაც იცნობაო — ნათქვამია. ზურაბ ჯორჯიკია საამაყო ოჯახის მამა და ბაბუაა — ჰყავს შვიდი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

უშანგი ჯიჯინაძე

გურამ საღარაძის საიუბილეო ტურნირი

ამ შეჯიბრებას კარგა ხანს ამზადებდნენ ორგანიზატორები და მასში მონაწილეობის მისაღებად სომხეთიდანაც მოიწვიეს იუნიორი ფალავნები. 120-მდე ნაკრები გუნდის წევრი ჩაება ასპარეზობაში თბილისიდან, რუსთავიდან, გორიდან, კასპიდან, მცხეთიდან, ხაშურიდან, ჯრელიდან, დედოფლის წყაროდან, ონიდან...

შეჯიბრებას თვით იუბილარიც ესწრებოდა თავის მეგობარ ვეტერან ფალავნებთან ერთად, რომელთა წინაშე თავისუფალი ჭიდაობის ახალგაზრდა ოსტატები თავდაუზოგავად, შემართებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. ორგანიზებული კი ისე იყო ეს ტურნირი, როგორც ავტორიტეტულ ასპარეზობას ეკადრება. გამარჯვებულებს და პრიზიორებს, გამორჩეულ მოჭიდავეებს უამრავი პრიზი და ჯილდო ელოდათ.

გურამ საღარაძე, როგორც სახელოვანი ფალავანი და ღირსეული მოქალაქე სამაგალითოა ახალგაზრდებისთვის და ამ ტურნირს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა. კარგი იქნება თუ იგი ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის კალენდარში დაიმკვიდრებს ადგილს და ტრადიციულად ჩატარდება.

პრიზები მზადაა, ახლა იუბილარი ავტოგარფებს ამზადებს მონაწილებისთვის

2 1 3 კვარცხლბეკი

50 კგ: 1. ბესიკ გუჩაშვილი (გორი), 2. თემურ ქასოშვილი (რუსთ.), 3. ჟირარ ოგანესიანი (სომხეთი); ***54 კგ:*** 1. აიკ ექშატიანი (სომხ.), 2. გია გაბრიელაშვილი (თბ.), 3. ნიკო ტლაშაძე (გორი); ***58 კგ:*** 1. შალვა მუზიაშვილი (გორი), 2. ზურაბ გვილავა (თბ.), 3. ლევან რიკაძე (ხაშური); ***63 კგ:*** 1. თამაზ თრთიაური (ორს, თბ.), 2. ნიკოლოზ ლობჟანიძე (ონი), 3. მიხეილ ხუციშვილი (ორს, თბ.); ***69 კგ:*** 1. ზურაბ სახვაძე („მართვე“, თბ.), 2. გიორგი კეკოშვილი (გორი), 3. ნოდარ ბოხაშვილი („მართვე“, თბ.); ***76 კგ:*** 1. ზაზა ნოზაძე, 2. ვანო გარუჩავა (ორივე — „მართვე“, თბ.), 3. კახაბერ მაკარაშვილი („შევარდენი“, თბ.); ***85 კგ:*** 1. ზვიად ბიძიშვილი, 2. დიმიტრი ტაბიძე, 3. ლევან ვაჭარაძე (სამივე — თბ.); ***97 კგ:*** 1. დავით ოთიაშვილი, 2. მიხეილ ტურაშვილი, 3. შოთა სანდერაშვილი (სამივე — თბ.); ***130 კგ:*** 1. პაატა დვალაძე (ონი), 2. ზაზა გოგიაშვილი („მართვე“ — თბ.), 3. გიორგი შერმაზანაშვილი (თბ.).

ველოსპორტი
თბილისის ღია პირადი პირველობა

ერთგული ქობულეთელები

თბილისელ ველოსიპედისტთა გარდა, საგზატკეცილო რბოლაში მიმდინარე წლის ამ პირველ სტარტზე გამოსვლის სურვილი აჭარის წარმომადგენლებმაც გამოთქვეს. ისინი სრული გუნდით — 10 მონაწილით ჩაებნენ ღია პირველობაში. აჭარაში ველოსპორტის ტრადიციულ კერად კვლავ რჩება ქობულეთი და ამჯერადაც გუნდის ყველა წევრი ამ რაიონიდან იყო. თბილისიდან კი „მართვეს“ და „შევარდენის“ მრბოლები იბრძოდნენ წარმატებისთვის. ინდივიდუალური რბოლა გაიმართა თბილის-დუშეთის ტრასაზე, ჯგუფური კი მარშრუტით თბილისი — ჟინვალი — ჯვარი. აღსანიშნავია, რომ ეს ასპარეზობა ადრე უცხოეთის ქვეყნების მონაწილეობითაც ტარდებოდა, ამ სამი წლის წინათ კი პირველობა კვლავ აღსდგა და ჯერჯერობით, როგორც ვნახეთ, თბილისელთა გარდა, მასში მხოლოდ აჭარელი სპორტსმენები გამოვიდნენ. დავძენთ, რომ პირველობაში მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ.

2 1 3 კვარცხლბეკი

ინდივიდუალური რბოლა. 40 კმ: 1. გიორგი მელაძე („მართვე“), 2. ლევან მესხიძე (აჭარა), 3. გია ქევხიშვილი („მართვე“).

ჯგუფური რბოლა: 98 კმ: 1. რობერტ ცხოვრებაძე, 2. მიხეილ მურადოვი (ორივე — „მართვე“), 3. ლევან მესხიძე (აჭარა).

კრიტერიუმი (ჩატარდა თბილისში, სანაპიროზე): 1. გიორგი მგელაძე, 2. მიხეილ მურადოვი (ორივე — „მართვე“), 3. გიორგი ქევხიშვილი („შევარდენი“).

საერთო ჩათვლა: 1. მგელაძე — 92 ქ, 2. მურადოვი — 80, 3. ცხოვრებაძე — 70.

SOS საქართველოს სამბისტთა ტრადიციები საფრთხეშია!

დამოუკიდებელ საქართველოს თუ ვინმემ ყველაზე მაღალი სპორტული ჭილდოები მოუტანა, მათ შორის არიან ჩვენი სამბისტები, რომლებიც მუდამ მართლაც განსაკუთრებული შემართებით იბრძვიან სამშობლოს სპორტული ღირსების დასაცავად საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში. სამწუხაროდ, უკვე გამოიკვეთა იმის საგანგაშო ნიშნები, რომ სამბოს ქართველი ოსტატების საამაყო ტრადიციები შეიძლება წარსულის მოგონებად იქცეს. საქმე იმაშია, რომ ბულგარეთში, 29 აპრილ-2 მაისს, მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება სამივე ასაკში (მოზარდები, ახალგაზრდები, დიდები). ჩვენ ნაკრებ გუნდებს ორკვირიანი დაგეგმილი შეკრების გავლის შესაძლებლობაც არ გააჩნიათ უსახსრობის გამო. ის კი არა, თუ სიტუაცია არ შეიცვალა და ბიუჯეტიდან სპორტის დეპარტამენტმა თანხები კვლავ ვერ მიიღო, შეიძლება ქართველი ფალავნები ჩემპიონატზე საერთოდ ვერ გაემგზავრონ. თუ ეს ასე მოხდა, სამბოს ჩვენში აუნაზღაურებელი ზიანი მიადგება.

ფირმა გთავაზობთ:

უცხოური წარმოების საბურავების დასაშელ-ასაწყობ და ბალანსირების დანადგარებს, ზარების მარეგულირებელს, მანძანის კარებების მინების ელექტრომამწევებს, ლუკებს, „MOMO“-ს ფირმის დისკებს სხვადასხვა მარკის ავტომობილებისთვის.

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჯავჯავაძის 49ª.

გუნდი შინაურთა თვალით

რკინიგზელები ამაყობენ, მაგრამ სიდინჯეს არ კარგავენ...

თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდმა, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი პროფესიონალი მწვრთნელი თემურ მახარაძე, საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატის II წრის ოთხ მატჩში 10 ქულა მოაგროვა და ახლა იგი 37 ქულით მყარად დამკვიდრდა III ადგილზე. თასის მეოთხედფინალში ორი თამაშის ჯამში დაამარცხა ბათუმელები და ახლა ნახევარფინალში 7 და 20 აპრილს წყალტუბოს „სამგურალს“ შეერკინება. ჩემპიონატში 12-დღიანი შესვენების შემდეგ, 30 მარტს რკინიგზელები მორიგ ტურში სამტრედიის „იბერიას“ შეხვდებიან. გუნდის ხელმძღვანელობა წლევანდელ გათამაშებაში საპრიზო ადგილს უმიზნებს და საქართველოს თასის მოპოვებას გეგმავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც „ლოკომოტიველები“ შესანიშნავად თამაშობენ როგორც ჩემპიონატში, ისე თასის გათამაშებაში და დაუმარცხებლად იბრძვიან დასახული ამოცანის შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ რკინიგზელმა ფეხბურთელებმა, ჩემპიონატის II წრის დაწყებამდე 9 საკონტროლო მატჩი ჩაატარეს, 7 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს. ასევე ბრწყინვალედ მოიგეს მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში. სულ თბილისის „ლოკომოტივმა“, 1998 წლის აგვისტოდან დღემდე ჩემპიონატის და სათასო მატჩებში, აგრეთვე საკონტროლო თამაშებში და მინიტურნირზე ჩაატარა 34 შეხვედრა, აქედან 24 მატჩში გაიმარჯვა, ხოლო 14 ფრედ დაამთავრა, ბურთების შეფარდება 66:16, რაც ჩინებული შედეგია. საფეხბურთო კლუბის „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსი, ამაგდარი მწვრთნელი შალვა კაკაბაძე, მეორე მწვრთნელი მერაბ ხუცურაული, მწვრთნელი, ახალგაზრდა სპეციალისტი ვაჟა ტოგონიძე ყველაფერს აკეთებენ ბრძოლისუნარიანი, მობილური გუნდის შესაქმნელად, რაც იგრძნობა კიდეც, ხოლო კლუბის პრეზიდენტი, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი, ბატონი აკაკი ჩხაიძე, ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის მოადგილე ბატონი ტარიელ ღვაბერიძე და კლუბის მთავარი ხაზინადარი, საქართველოს რკინიგზის რევიზიისა და კონტროლის სამსახურის უფროსი ბატონი ედუარდ სანაია ყურადღებას არ აკლებენ გუნდს.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ გუნდზე და არ ვახსენოთ თვით მისი წევრი შემოქმედი ფეხბურთელები დათო ჯანელიძე, ლევან დოლაბერიძე, გიორგი ბალაშვილი, პაატა ბარნოვი, გენადი კაციაშვილი, კოტე მელქაძე, ნუკრი მინდიაშვილი, შალვა ხუჯაძე, ალეკო გოგობერიშვილი, დათო გოდერძიშვილი, ზურაბ არჩვაძე, ჰამლეტ წივწივაძე, დათო ბაქრაძე, ვალერი კოტორაშვილი, ვარლამ კილასონია, ზურაბ ქოიავა, რონ მარღიშვილი, ვანო ხორგუაშვილი, ისიდორე გილაური, გიორგი ღუდუშაური და სხვები, ისინი როგორი თავდადებით იბრძვიან მინდორზე ყველა კარგად ხედავს, თითოეულს თავისი ღვაწლი შეაქვს გუნდის წარმატებაში.

საქართველოს რკინიგზელთა და ფეხბურთის ქომაგთა სახელით, ყველაზე მაღალი მიზნების ხორცშესხმას ვუსურვებთ რკინიგზელ ფეხბურთელებს.

ვაჟა ჭიაურელი,
საქართველოს რკინიგზის გაზეთ „ევრაზია-ექსპრესის“ კორესპონდენტი,
საფეხბურთო კლუბის „ლოკომოტივის“ პრეს-ატაშე.

ნომრიდან ნომრამდე

უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

● უეფას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია ევროპის პირველობის შესარჩევი ციკლის მატჩები ჩაატაროს თუ არა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ყველაფერი დამოკიდებულია იქ შექმნილი მწვავე პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირებაზე. შეგახსენებთ, ლაპარაკია იუგოსლავია – ხორვატიის და მაკედონია – ირლანდიის მატჩებზე.

● ზიდანი ცდილობს თავისთან, „იუვენტუსში“ გადაიბიროს თანამემამულე ფრანგი თავდამსხმელი ნიკოლას ანელკა და ამისთვის ახალი კლუბი მზადაა 20 მილიონი დოლარი გაიღოს.

● რომის „ლაციოსთან“ 2002 წლის 30 ივნისამდე გააგრძელებს კონტრაქტს გორან ერიკსონი.

– ჯერ ხელი არაფერზე მომიწერია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ვარ, ჩვენი მიზანია უფრო გავაძლიეროთ „ლაციო“ – განაცხადა ერიკსონმა.

● გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში მიუნხენის „ბაიერნის“ წარმატებულმა გამოსვლამ კარგი ფონი შეუქმნა გუნდის მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს, რათა კონტრაქტი კლუბთან 2003 წლამდე გაეგრძელებინა. ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში წარმატებასაც გეგმავს.

● ბუქარესტის „ნაციონალის“ ესპანელი მწვრთნელი ხოსე ალეხანკო თანამდებობიდან მოულოდნელად გადადგა და მისი ადგილი დაიკავა კლუბის პრეზიდენტმა ჯინო იორგულესკუმ. ნავარაუდევია, რომ იგი სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს გუნდს.

● ხელფასს თუ არ გამიზრდით გუნდს მივატოვებ“ – განუცხადა კლუბის ხელმძღვანელებს „ლიდსის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა ჰასელბანკმა. იგი კვირაში 25 ათას გირვანქა სტერლინგს მოითხოვს. თუ ვერ შეთანხმდებიან ფორვარდი აპირებს გადავიდეს „ტოტენჰემში“, სადაც ახლა მწვრთნელად გრეჰემი მუშაობს. ის გრეჰემი, რომელმაც თავის დროზე ჰოლანდიელი „ლიდსში“ მიიწვია, როცა ამ კლუბის მწვრთნელი იყო.

● უკრაინელებთან მატჩში ფრანგებთან ზინედინ ზიდანი ვერ ითამაშებს. თუმცა, ფრანგებს იმედი აქვთ, რომ შეცვლა სრულფასოვანი თუ არა საგანგაშო არ იქნება. ვარაუდობენ, რომ ზიდანის ნაცვლად ლემერს გამოიყვანენ სათამაშოდ.

ჯერ ქუდი არ დაუხურავს

ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკი მადრიდის „რეალიდან“ კი გაანთავისუფლეს, მაგრამ ესპანეთის დედაქალაქის დატოვებას ჯერ არ ფიქრობს. იგი მოითხოვს მთელ იმ თანხას, რომელიც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული, ეს კი 480 მილიონ პესეტს (დაახლოებით 3,2 მილიონ დოლარს) შეადგენს. „რეალის“ მესვეურები კი უარზე არიან. ისინი აპირებენ ჰოლანდიელს „მხოლოდ“ 1,8 მილიონი გადაუხადონ. ასე რომ, მდგომარეობა მწვავდება და არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს.

დევიდ ჟინოლა – ალბიონიდან კატალონიაში?

„ჩემი თავის ფასი კარგად ვიცი და თუ „ტოტენჰემს“ სურს კონტრაქტი გამიგრძელოს, მაშინ ხელფასი უნდა გამიორმაგოს“ – განაცხადა „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფრანგმა ლეგიონერმა დევიდ ჟინოლამ. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ალბიონელები არ აპირებენ ჟინოლას მოთხოვნებზე დაყაბულებას – ეს ფრანგი ლეგიონერი კვირაში ხომ 22 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს გასამრჯელოდ. სამაგიეროდ „ბარსელონამ“ გამოიდო თავი – კატალონიელებმა 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს ინგლისელებს ჟინოლაში, ხოლო თვით ფეხბურთელს აღუთქვეს კვირაში 50 000 გირვანქას გიბოძებთო. დევიდ ჟინოლაც მყისვე გამოეხმაურა „ბარსას“ წინადადებას და მზადყოფნა გამოთქვა პრემიერდივიზიონში სათამაშოდ. ბარსელონაში ჟინოლა განსაკუთრებულად უყვართ, ხოლო „ბარსას“ ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იოჰან კრუიფი ჟინოლას თანამედროვეობის უძლიერეს ფეხბურთელად მიიჩნევს.

დებიუტანტი

მამუკა ზოდელავა
(ფეხბურთი)

დაიბადა 1989 წლის 7 მარტს
წონა 33 კგ.
სიმაღლე 135 სმ.
35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელია.
თამაშობს ამავე სკოლის გუნდ „არწივში“.
მწვრთნელი ნუგზარ აბრამიშვილი.
ამპლუა – თავდამსხმელი.
შოთა მერკვილაძის თასის გათამაშების გამარჯვებული.
რამდენიმე ტურნირში გამარჯვებული.

მინიფეხბურთი

«არწივს» სიმაღლე უყვარს

ორიოდე წელიწადია, რაც 35-ე საფეხბურთო სკოლის (დირექტორი ანდრო თურქია) გუნდს „ „არწივს“ (1990 წელს დაბადებული ბიჭები) ავარჯიშებს გულმოდგინე მწვრთნელი ნუგზარ აბრამიშვილი. ნორჩმა არწიველებმა არაერთ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და რამდენიმე გამარჯვებას მიაღწიეს. ასე იყო ამჯერადაც, მინიფეხბურთელთა ტურნირში, რომელიც მუხიანის დასახლების სპორტულ მოედანზე გაიმართა. შეჯიბრება (ორგანიზატორი იყო მწვრთნელი გოჩა ფეიქრიშვილი) ძველი ფეხბურთელის, 35-ე სკოლადამთავრებული ბორის გეგენავას ხსოვნას მიეძღვნა.

სტარტზე 12 გუნდი გამოვიდა, ისინი წრიული სისტემით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. თავიდანვე ცხადი გახდა „არწივის“ უპირატესობა, რომელსაც კვალდაკვალ მისდევდა მუხიანის „მიმინო“. მოხდა ისე, რომ სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს ბოლო ტურში, რომელიც გამარჯვებულის ბედს წყვეტდა. დიდი ანგარიშით 6-1 „არწივმა“ სძლია ძირითად მეტოქესაც და მთავარი პრიზი მოიპოვა. შემოგთავაზებთ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას – ვინ იცის, იქნებ დროთა განმავლობაში რომელიმე მათგანი ცნობილ ფეხბურთელად მოგვევლინოს, რის საფუძველსაც იძლევა ნორჩების უდიდესი შემართება და ტყავის ბურთის სიყვარული. აი ისინიც: ლ. აბაშიძე, გ. კაკაბაძე, რ. ანთია, დ. მუმლაძე, ლ. გიუნაშვილი, ბ. კუტუბიძე, ი. ჭავჭანიძე, გ. ჭანტურია, ლ. ბასიაშვილი, გ. ქობელაშვილი, ბ. ჭინჭარაძე, ი. მერაბიშვილი, გ. გაბელია, ხ. ჟღენტი, ლ. ფირცხალავა.

რობერტ ქარსელი

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული „არწივი“ მწვრთნელ ნუგზარ აბრამიშვილთან ერთად.
რობერტ ბაგრიანის ფოტო.

ქართველი ბავშვები სასამართლოდან გაათავისუფლეს

რამდენიმე თვეს გაჭიანურებული სასამართლო თურქეთის ქალაქ სამსუნში, რომელიც თურქი მოზარდის სიკვდილში ქართველი ბავშვების ბრალეულობის საკითხს იხილავდა, როგორც იქნა დასრულდა. ჩვენი სამი მოზარდი სასამართლოდან გაათავისუფლეს.

ტრადიციის დაბრუნება

პროფესორებმა კარგი დრო გაიხსენეს...

იყო დრო, როცა ცნობილი მეცნიერი და სპორტსმენი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე კოლეგებს სპორტთან დამეგობრების მაგალითს აძლევდა. მაშინ ბევრი ამრეზით უყურებდა პროფესორის გატაცებას. დრო გავიდა და ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სპორტმა მოიცვა სტუდენტებიც და პროფესორ-მასწავლებლებიც. მეტიც, ტარდებოდა ჯანმრთელობის სპარტაკიადები სპეციალურად უმაღლესი სკოლების აღმზრდელთათვის. კარგა ხანია, ასეთი ღონისძიება აღარ ჩატარებულა და ახლა იგი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (პრეზიდენტი რ. მეტრეველი) თაოსნობით კვლავ აღორძინდა. პირველები ასპარეზობაში ჩაებნენ მოჭადრაკეები. ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, 2. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, 3. თსუ-ს სოხუმის ფილიალი. გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ საერთაშორისო ოსტატი დათო ლობჟანიძე, პროფესორი რევაზ სიგუა, საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელი ლიანა კიმბერგი.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ევროპული ტურნირები ფინიშს უახლოვდება

ჩემპიონთა ლიგა

ლობანოვსკის სურვილი აუსრულდა

მეოთხედფინალური მატჩების დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა მიაკითხეს ერთ-ერთ ტრიუმფატორს: ვალერი ლობანოვსკის. კიეველთა მწვრთნელმა თქვა, რომ სასურველი მეტოქე იქნებოდა „მანჩესტერ იუნაიტედი"... ოღონდ, ფინალურ შეხვედრაში. რაც შეეხება ნახევარფინალს, აქ მან ყველაზე ხელსაყრელად მიუნხენის „ბაიერნთან" შეხვედრა ჩათვალა.

ლობანოვსკის სურვილი აუსრულდა კიდეც.

„ბაიერნსა" და კიევის „დინამოს" ამჟამად ერთი რამ აქვთ საერთო: ეროვნული ჩემპიონატების მატჩები მძიმე ტვირთად არ აწევთ და ამდენად, სწორედ ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე ახდენენ ძალების კონცენტრაციას. მართლაცდა, იშვიათია შემთხვევა, რომ ლიდერი მეორე ადგილზე მყოფ კლუბს 14 (!) ქულით უსწრებდეს. რა თქმა უნდა, „ბაიერნი" ფაქტობრივად უკვე გერმანიის ჩემპიონია. სავსებით გაამართლა მრავალნაცადი მწვრთნელის, ოტმარ ჰიტცფელდის მიწვევამ. სხვა საკითხია, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა შესანიშნავი ბრაზილიელი თავდამსხმელი ელბერი, თუმცა „ბაიერნს" სხვა სნაიპერებიც ჰყავს. მართალია უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე სულ ახლახან დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ კიეველებს მაინცდამაინც ასაღელვებელი არაფერი აქვთ. ამასთან, ალბათ უკანასკნელად ეძლევათ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შესაძლებლობა. ზაფხულისათვის „დინამოს" შემადგენლობაში აღარც

ეფენბერგი

შევჩენკო იქნება, და, ეტყობა, აღარც რებროვი.

რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „იუვენტუსის" შეხვედრას, დაახლოებით ერთი თვის წინათ ყველა ინგლისელებს მიანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ, ეტყობა მარჩელო ლიპიმ „დროულად დატოვა" „ბებერი ქალბატონი". კარლო ანჩელოტიმ შედარებით მოკლე დროში შეძლო მორალურად დაცემულ გუნდში საბრძოლო სულისკვეთების აღდგენა და თუ იტალიის პირველობაზე „იუვენტუსს" ბევრი-ბევრი, მეხუთე ადგილისათვის შეუძლია ბრძოლა, ჩემპიონთა ლიგას, რა თქმა უნდა, მეტი ყურადღება დაეთმობა.

ნახევარფინალური შეხვედრები 7 და 21 აპრილს გაიმართება.

„პარმა" - მთავარი პრეტენდენტი

უეფას თასი

ახლა, როცა იტალიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტური რჩება, „პარმა" მთელი 8 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ლაციოს". რა თქმა უნდა, ამ დეფიციტის დაძლევა თეორიულად შეიძლება, მაგრამ პრაქტიკულად? ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, ახლა „პარმა" აქცენტს უეფას თასზე აიღებს. ნახევარფინალში მისი მეტოქე, მადრიდის „ატლეტიკოა", რომელიც გაფაციცებით ეძებს მწვრთნელს. ისიც გასაკვირია, როგორ შეძლო „ატლეტიკომ" მეოთხედფინალში ასეთ პირობებში, „რომას" ძლევა. ახლა მიმომხილველები უპირატესობას აშკარად „პარმას" ანიჭებენ, მით უმეტეს, რომ მადრიდელთა დაცვას ბევრი შეცდომა მოსდის და ძალიან გაუჭირდება კრესპო-კიეზას განთქმულ დუეტთან ბრძოლა. ახლა ბალბო და ასპრილია, „პარმას" უძლიერესი დაცვა და შესანიშნავი შუა ხაზია.

მეორე ნახევარფინალში, ვფიქრობთ, მარსელს „ოლიმპიკს" მაინც ერთგვარი უპირატესობა ექნება „ბოლონიასთან". ფრანგულმა კლუბმა თავიდან მოიცილა ისეთი სახიფათო მეტოქე, როგორიც ვიგოს „სელტაა". მას არჩევანიც კი აქვს თავდასხმაში, მაშინ, როდესაც „ბოლონიას" საგრძნობი პრობლემები გამოუჩნდა დაცვით ხაზში. მართალია, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იტალიელების თავდასხმის დუეტი სინიორი – პ. ანდერსონი ფრიად შედეგიანია, ამასთან, ვეტერან ჯუზეპე სინიორის თავისი ვირტუოზული ტექნიკით აღტაცებაში მოჰყავს გულშემატკივრები.

ბანერი

ფინალურ წყვილში მიმომხილველთა უმრავლესობას დღეისათვის სწორედ „პარმა" და მარსელის „ოლიმპიკი" წარმოუდგენია. ექსპერტები უფრო შორსაც მიდიან და ფიქრობენ, რომ უეფას თასი წლეულს აუცილებლად „პარმას" უნდა ერგოს.

ნახევარფინალური მატჩები 6 და 20 აპრილს გაიმართება.

ფიფას ახალი რეიტინგი: როგორ დაირიცხება ქულები

FIFA

ფიფამ პირველად 1993 წელს გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრებების რეიტინგ-ლისტი. სწორედ მის მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა 1995 და 1997 წლებში ევროპისა და მსოფლიო პირველობების შესარჩევი ჯგუფების მონაწილეთა „გაფანტვა". ამ ხნის განმავლობაში რეიტინგს რაიმე კარდინალური ცვლილება არ განუცდია, თუმცა ზოგი სიახლის გატარების აუცილებლობა საჭირო იყო.

და აი, 1999 წლიდან მოყოლებული ფიფამ შემოიღო კოდეც ეს სიახლეები, რომლებიც ერთბაშად რამდენიმე პუნქტს შეეხო.

– ყოველწლიურად ნაკრებების რვა მატჩს კი არ გაითვალისწინებენ, როგორც ეს ადრე იყო, არამედ შვიდს, ყველაზე მაღალი კოეფიციენტით.

სტატუსი	ადრე	ახლა
ამხანაგური მატჩები	1,00	1,00
ფიფა/კონფედერაციის თასი	1,25	1,50
კონტინენტის პირველობის შესარჩევი მატჩები	1,10	1,50
მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები	1,25	1,50
კონტინენტის პირველობის ფინალური მატჩები	1,25	1,75
მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩები	1,50	2,00

ლიპის კარიერა და წოდებები

მარჩელო ლიპი

ამდენი მიღწევისა და ტურინის „იუვენტუსში" წლევანდელი მძიმე ჩავარდნის შემდეგ გამოჩენილი მწვრთნელი მარჩელო ლიპი ზაფხულიდან თავიდან იწყებს კარიერას მილანის „ინტერში".

მარჩელო ლიპი დაიბადა 1948 წლის 11 აპრილს ვიარეჯოში.

1970 წელს თამაში დაიწყო „სამპდორიაში". 1981 წელს გადავიდა „პისტოეზეში" (სერია B). 1982 წელს ფეხბურთელის კარიერა დასრულა „ლუკეზეში" (სერია C) და მწვრთნელი გახდა.

1984 — „სამპდორიის" ახალგაზრდული კლუბის მწვრთნელი. 1985-86 — სათავეში უდგას „პონტედერის", 1986-87 — „სიენას", 1987-88 — „პისტოეზეს" 1988-89 — „კარერეზეს". 1989-91 წლებში პირველად ხელმძღვანელობს „სერია A"-ს კლუბ „ჩეზანას". 1991-92 წ — „ლუკეზეს". 1992-93 წლებში კვლავ „სერია A"-ს კლუბ „ატალანტას" (ქ. ბერგამო), 1993-94 წ — „ნაპოლის". 1994 წლის 1 ივლისს მოაწერა ხელი კონტრაქტს „იუვენტუსთან", სადაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია. 1994-95: მოიპოვა იტალიის ჩემპიონობა, თასი, უეფას თასი, 1995-96 — მოიპოვა ჩემპიონთა თასი, იტალიის სუპერთასი. 1996-97 — იტალიის ჩემპიონობა, ევროპის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი, გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში. 1997-98 — იტალიის ჩემპიონობა, გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში.

ფეხბურთელი „ბოლონიის" მწვრთნელი ფაბიანო ბარალი

კლუბების შემცირებამ უარყოფითი შედეგი მოიტანა

გერმანულ ფეხბურთში დამკვიდრებულმა ტრადიციამ – მეორე ლიგაში მოთამაშე კლუბების მუდმივმა შემცირებამ, ექსპერტების აზრით, კარგი არაფერი მოიტანა.

1963 წელს მეორე ლიგაში 88 კლუბი თამაშობდა, რომლებიც რეგიონულ ლიგებში იყვნენ განაწილებული, 1974 წლისათვის აქ ორი ჯგუფიღა დარჩა (20-20 კლუბით), ახლა კი სულ ერთი ჯგუფია (მეორე ბუნდესლიგა 18 კლუბით).

ექსპერტები დაეთანხმნენ გიუნტერ ნეტცერს, რომ ყველაზე მიმზიდველი ფეხბურთი გერმანიის ნაკრებმა 1972 წელს აჩვენა. 70-იან „ოქროს წლებში" მიუნხენის „ბაიერნმა", „ჰამბურგის შპორტფერაინმა", „ბორუსიამ" (მენხენგლადბახი) და „აინტრახტმა" (მაინის ფრანკფურტი) შვიდჯერ მოიპოვეს ევროპული თასები. ბუნდესლიგას მაშინ ძალიან შველოდა მეორე ლიგაში კლუბების დიდი რაოდენობა, შემდგომმა მათმა შემცირებამ კი მოლოდინის საწინააღმდეგოდ უმაღლეს ეშელონში თამაშის გაუმჯობესება არ გამოჰყოლია.

მომდევნო ღონისძიებისაგან – რეგიონალ-ლიგების კლუბების 2000 წლისთვის 72-დან 37-მდე შემცირებისაგან ექსპერტები კარგს არაფერს მოელიან. მათ არა-სწამთ, რომ უცხოელი მოთამაშეების რაოდენობის ასეთი მკვეთრი ზრდის დროს საჭიროა მაინცდამაინც კლუბების რაოდენობის შემცირება. შედეგები ხომ პირდაპირ საპირისპიროს ამტკიცებს.

უეფას ტენდენცია აქვს: ყველა ევროპულ ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა 16 კლუბამდე შემცირდეს. გერმანელი მიმომხილველები არც ამ გავრცელებულ აზრს იზიარებენ.

„სტადიონები? რაღაცნიც გნებავთ!"

როგორც ცნობილია, 2006 წლის მსოფლიო პირველობის ჩატარება ბევრ ქვეყანას სურს. გარდა გერმანიის, ინგლისისა და ბრაზილიისა, 5 აფრიკული ქვეყანა: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნიგერიის, ეგვიპტის, განისა და მაროკოს ფედერაციებსაც პრეტენზია აქვთ. მართალია, სერიოზული პრეტენზია შეიძლება ცოტას ჰქონდეს, მას შემდეგ, რაც ფიფამ სტადიონების შესახებ ახალი დებულება მიიღო. ეს სტადიონები 40 ათას მაყურებელზე ნაკლებს არ უნდა იტევდეს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მყარი პოზიცია გერმანიას აქვს. ქვეყნის ფეხბურთის კავშირის გენერალურმა მდივანმა ჰორსტ შმიდტმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მას მთელი არჩევანი აქვს, რომელ სტადიონებს მიანიჭოს უპირატესობა.

დასაწყისში გერმანელებმა 25 კანდიდატურა შეარჩიეს, შემდეგ მათი რიცხვი ოცამდე შეამცირეს, მინიმუმი კი 10 სტადიონია. ახლა მიმდინარეობს ჰანოვერის, ჰამბურგის, შტუტგარტის, ლაიფციგის, მაინის ფრანკფურტის და კაიზერსლაუტერნის სტადიონების რეკონსტრუქცია. დრეზდენის სტადიონიც 40 ათას მაყურებელს იტევს. საბოლოო გადაწყვეტილებას ფიფა 2000 წლის მარტში მიიღებს.

ინდოელი „ასტონ ვილაში"?

განთქმულმა „ასტონ-ვილამ", რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ ლიდერობდა ინგლისის ჩემპიონატს, ინდოეთის საუკეთესო ფეხბურთელის ბხაიჩუნგ ბხუტიას მიწვევა გადაწყვიტა.

ევროპაში სრულიად უცნობმა ინდოელმა თავისი ქვეყნის ნაკრების 31 მატჩში 21 გოლი გაიტანა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თავის პირველ პროფესიულ კონტრაქტს ბხუტიამ, გაზეთ „თაიმს ოფ ინდიას" ცნობით, 16 წლისამ მოაწერა ხელი და დღემდე ინდოეთის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად რჩება.

თასების თასი

მოსალოდნელი ფინალი: „ლაციო" - „ჩელსი"

რა შეიძლება ითქვას თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალურ შეხვედრებზე?

მთავარ ფავორიტად რომის „ლაციო" ითვლება. ეს არის ახლა მსოფლიო კლასის გუნდი, იტალიის ჩემპიონატის ლიდერი. „ლაციოს" სულაც არა აქვს „სხვისი მინდვრის" კომპლექსი, რაც ასეთ ტურნირში მეტად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება თავდასხმის სუპერტანდემს ვიერისა და სალასს, იგი, ეტყობა, ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში.

ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, ლონდონის „ჩელსი" ტურნირის მეორე ფავორიტად უნდა ჩაითვალოს. მეტად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, სადაც შვიდი ქვეყნის (!) ნაკრებების მოთამაშეები შედიან. მათ შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდების მატარებელი ორი ფრანგი მცველია. ისიც გავიხსენოთ, რომ „ჩელსი" თასების მფლობელთა თასის ახლანდელი მფლობელია.

„მალიორკა" ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ნაკლებად ცნობილია ევროპაში. ეს, ერთი მხრივ, მის ღირსებადაც უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთ გუნდებს არაერთხელ შემოუთავაზებიათ სიურპრიზი. „მალიორკას" მეტად ძლიერი დაცვა ჰყავს, მაგრამ არც ისე შედეგიანი თავდასხმა. სხვა ნაკლი: არასაკმარისი გამოცდილება და სხვისი მინდვრის შიში.

რაც შეეხება მოსკოვის „ლოკომოტივს", მან, ეტყობა, უკვე გააკეთა მაქსიმუმი, ისევე როგორც შარშან, გავიდა ნახევარფინალში და ეს ტურნირი თამამად შეიძლება თავის აქტივში მიითვალოს.

ნახევარფინალურ მატჩებში, რომლებიც 8 და 22 აპრილს გაიმართება „ლოკომოტივი" „ლაციოს" ხვდება, „ჩელსი" კი „მალიორკას".

„ბარსა“ – გაცილებით მეტი, ვიდრე, უბრალოდ, საფეხბურთო კლუბი

108.000 რეგისტრირებული წევრი, სამ მილიონზე მეტი მხარდამჭერი მთელს პლანეტაზე – საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ მართლაც რომ განსაკუთრებული ფენომენია! წლეულს, 29 ნოემბერს მას დაარსებიდან 100 წელიწადი შეუსრულდება, თუმცა

ჰანს გამპერი

ამ საუკუნოვანი თარიღის აღნიშვნა კლუბის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ ამ ცოტა ხნის წინათ მოიწყო და თან „ბარსელონისა“ და მსოფლიო ნაკრები გუნდებიც გაეჯიბრნენ. გაიმარჯვა „ბარსელონამ“, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო – „ბარსა“ ხომ ასი წლისა შეიქნა.

სეზარ ლუის მენოტი ამბობდა ხოლმე, რომ, როცა კაცი ბარსელონას El Prat-ის აეროპორტზე დაადგამს ფეხს, ხალხის სახეების გამომეტყველებით მყისვე შეიტყობს თუ რა შედეგით დამთავრდა „ბარსას“ ბოლო მატჩი. და მართლაც, „Barcelonismo“, ანუ ბარსელონიზმი კატალონიაში დღესაც ცოცხლობს, კლუბთან ერთად არსებობის საუკუნეს ითვლის, რომელიც მოიცავს გამარჯვებებს, დამარცხებებს, სიხარულს და გაწბილებას, უპირველეს ყოვლისა კი, ჭეშმარიტ ფეხბურთს.

„ბარსელონა“ დაფუძნდა 1899 წლის 22 ოქტომბერს, როცა ბარსელონაში მცხოვრებმა შვედმა ბიზნესმენმა ჰანს გამპერმა განცხადება გამოაქვეყნებინა ჟურნალ „Los Deportes“-ში. აი ის ტექსტიც: „ჩვენს მეგობარსა და კოლეგას, ჩვენი გაზეთის ფეხბურთის განყოფილების წევრს, შვედეთის ყოფილ ჩემპიონ პანს გამპერს სურს მოაწყოს საფეხბურთო მატჩი ბარსელონაში. დაინტერესებულმა ფეხბურთელებმა უნდა მიმართონ მას“. სწორედ ეს განცხადება იყო პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რითაც „ბარსელონა“ გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი არა მარტო სპორტული თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური, სოციალური და ბიზნესის ასპექტებითაც. გამპერის შეტყობინებას მყისვე გამოეხმაურნენ ბარსელონაში მცხოვრები ინგლისელი, გერმანელი, შოტლანდიელი და რა თქმა უნდა, ესპანელი ახალგაზრდა, დამწყები ფეხბურთელები. შვიდი დღის შემდეგ, 29 ოქტომბერს მათ უკვე შექმნეს საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“. თუმცა კლუბის ოფიციალურად დაფუძნების თარიღია 1899 წლის 29 ნოემბერი.

„ბარსელონას“ ბიუჯეტში მილიონობით დოლარი ტრიალებს და მისი ფინანსური ძლევამოსილება მყარზე მყარია. ამ კლუბს თავისი აქციები საფონდო ბირჟაზე ანუ ხალხში არ გააქვს. „ბარსელონას“ ასწლიანი არსებობის მანძილზე ფეხბურთელების მაისურზე არასდროს ყოფილა რომელიმე სპონსორის ფირმის წარწერა, „ბარსას“ მაისური მხოლოდ „ბარსას“ ეკუთვნოდა და ეკუთვნის – ეს კლუბის ყოველი პრეზიდენტისთვის დაუწერელი კანონია. მაგრამ მაშ რაშია „ბარსას“ საიდუმლო? პირველ ყოვლისა იმაში, რომ მის უკან 108.000 წევრი დგას. მათ შორის არიან რომის პაპი იოანე პავლე II, სოკ-ის პრეზიდენტი სამარანჩი, ფიფას საპატიო პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი...

შემდეგ მოდიან ფანები, რომლებიც სამმილიონიან არმიას შეადგენენ. „ბარსასადმი“ სიყვარულს კი არაფრით ეღალატება. კლუბის წევრები დაბადებიდან სიკვდილამდე ერთგულად უდგანან მხარში კატალონიელთა სიამაყეს. დიახ, დაბადებიდან, რადგან კლუბის ზოგიერთი წევრი შვილს დაბადებამდე ხდის „ბარსას“ წევრად. ძალიან ბევრია შემთხვევებიც, როცა კლუბის წევრები ანდერძში მიუთითებენ, რომ მათი დაკრძალვის რიტუალში აუცილებლად „ბარსელონას“ დროშის ფერები უნდა ფიგურირებდეს ნიშნად „ბარსას“ ერთგულებისა და პატივისა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ „ბარსელონა“ გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, საფეხბურთო კლუბი.

კრუიფი (1973/74 წ.წ. სეზონი)

აღმასვლამდე „ბარსას“ სირთულეები და ტრაგიკული მომენტებიც ჰქონდა. ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრახის შედეგად გარდაიცვალა ჰანს გამპერი (1929 წ.). შემდეგ იყო დიქტატორ ფრანკოს პერიოდი. 1925 წელს „ბარსა“ მემორიალურ თამაშს ატარებდა კატალონიელთა დღესასწაულ „Orteo Latala“-სთვის და როცა სტადიონზე ესპანეთის ჰიმნი გაისმა, ხალხი მას სტვენითა და დაცინვით გამოეხმაურა. ჰოდა, ფრანკოს განკარგულებით „ბარსას“ სტადიონი დაულუქეს. 1936 წელს კი ფრანკოს დამქაშებმა კლუბის პრეზიდენტ ჯოზეფ სინიოლი სიცოცხლეს გამოასალმეს, რადგან ის კატალონიის რესპუბლიკის პარლამენტარი იყო. ესპანეთში მძვინვარე სამოქალაქო ომის გამო „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა ძირითადად ლათინოამერიკულ ქვეყნებს მიაშურეს, „ბარსა“ მთლიანად დაიცალა ფეხბურთელებით, მაგრამ არსებობა მაინც არ შეუწყვეტია. კატალონიაში და, საერთოდ, ესპანეთში კვლავაც ახსოვთ, ვერაფრით ივიწყებენ 1943 წელს გამართულ მატჩს მადრიდის „რეალს“ და „ბარსას“ შორის. ის შეხვედრა მადრიდელთა გამარჯვებით დამთავრდა 11-1, რადგან „ბარსას“ ფეხბურთელებს გასახდელში პოლიცია მიეჭრა და დაემუქრა – თუ მადრიდელებს გამარჯვებას არ დაანებებთ... ამდაგვარი მაგალითები კიდევ ახსოვს ისტორიას და ალბათ სწორედ ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს „ბარსას“ ფენომენს, „ბარსელონას“ პაექრობა სხვა ესპანურ კლუბებთან მხოლოდ სპორტული ხასიათის როდია...

ახლანდელი „ბარსელონას“ სტრუქტურა, ფაქტობრივად, მოძველებულია, კლუბი ნაკლებადაა ორიენტირებული ფინანსურ მოგებაზე, ვიდრე ამას თანამედროვე სიტუაცია მოითხოვს – კატალონიური კლუბი ხომ მხოლოდ ბილეთების რეალიზაციით და ტელეტრანსლაციების უფლების გაყიდვით არსებობს (სხვა მწირი უმნიშვნელო შემოსავლების ჩათვლით). თუმცა ახლა, „ბარსას“ პრეზიდენტ ხოსეპ ლუის ნუნიესის ინიციატივით არის მცდელობა ნაწილობრივ მაინც შეიცვალოს კლუბის სტრუქტურა – XXI საუკუნის დადგომას ძნელია გვერდი აუარო...

კუბალა (1958/59 წ.წ. სეზონი)

„ბარსელონას“ ისტორია, მისი ფეხბურთელები და მწვრთნელები – მათზე ტომეულების გამოცემაც შეიძლება და ერთ საგაზეთო სტატიაში ვერას გავხდებით. ისე კი, ტრადიციებს „ბარსა“ ახლაც არ ღალატობს. უცხოელი მწვრთნელები და ფეხბურთელები კატალონიელთა კლუბს ყოველმხრივ ამდიდრებდნენ, აძლიერებდნენ, თუმცა დღეს „ბარსელონას“ მინი კრიზისი უდგას – გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში კი ბრწყინავს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშა. უკვე მეორე წელიწადია „ბარსა“ რომელიმე ევროთასს რომ ვერ ეუფლება.

პაულინო ალკანტარა, ფრანც პლატკო, ჰექტორ სკარონე, ზოლტან ციბორი, შანდორ კოშიჩი, ლადისლაო კუბალა, ევარისტო, იოჰან კრუიფი, ნეესკენსი, კრანკლი, შუსტერი, ლინეკერი, რონალდ კუმანი, სტოიჩკოვი, რომარიო, მიქაელ ლაუდრუპი, რონალდო... რომელი ერთი ლეგიონერი გავიხსენოთ, „ბარსას“ რომ ამშვენებდა. თუმცა, კატალონიელებს საკუთარი კადრებითაც შეუძლიათ თავის მოწონება: რიკარდო ზამორა, პეპე სამიტერი, ძმები გონსალვოები, სეზარ როდრიგესი, ლუის სუარესი, ტეხადა, ფერნანდო ოლიველა, ანტონიო რამალეტსი, გუსტავო ბიოსკა, პეპ გვარდიოლა...

მწვრთნელები! „ბარსას“ ხომ მართლაც ლეგენდარული შემოქმედნი წვრთნიდნენ. განა ასეთები არ იყვნენ ფერნანდო დაუჩიკი, ელენიო ერერა, ჰენეს ვეისვეილემი, ვიკ ბუკინგემი, რინუს მიხელსი, უდო ლატეკი, ლუის სეზარ მენოტი, ტერი ვენეიბლზი, ლადისლაო კუბალა, იოჰან კრუიფი...

„ნოუ კამპის“ სტადიონზე განთავსებული „ბარსას“ უნიკალური მუზეუმი დამთვალიერებელთა რაოდენობით მეორეა ესპანეთში პიკასოს მუზეუმის შემდეგ. „Barcelonismo“ თავისებური რელიგიაა კატალონიელთათვის და არა მარტო მათთვის. „ბარსა“ ყველა სოციალურ ფენას ეკუთვნის. „ბარსა“ ძალიან რთული და ამავე დროს დიდი ფენომენია, „ბარსა“ გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი საფეხბურთო კლუბი, რასაც მისი ფანების ძველი-სძველი, ახლაც აქტუალური და პოპულარული სიმღერაც მოწმობს, რომელსაც კვლავაც დიდის ვნებით მღერიან „ნოუ კამპზე“ და ყველგან, სადაც „ბარსელონაა“ – „ჩვენ ვართ „ბარსელონას“ ფანები, ჩვენ მოვედით ყოველის მხრიდან, როგორც სამხრეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან, მაგრამ ახლა ჩვენ ერთნი ვართ, დროშა ჩვენ გვაერთიანებს, ლურჯი და ჟოლოსფერი დაქშიტინობს ქარში; ერთად კი ჩვენ ვმღერით იმ სიტყვებს, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ: „ბარსა“, „ბარსა“, „ბარსა“!

დათო თავართქილაძე

ალვარო რეკობა – ბრწყინვალე სნაიპერი

როცა მილანის „ინტერმა“ ლუიჯი სიმონის ხელმძღვანელობით მიმდინარე სეზონი დიდი რიხით დაიწყო, ჩაითვალა, რომ ამდენი ვარსკვლავის მქონე გუნდს ახალგაზრდა ურუგვაელი თავდამსხმელი ალვარო რეკობა დიდად ვერაფრით გამოადგებოდა და იგი „სერია A“-ს ახალბედა „ვენეციას“ ათხოვეს.

ეს ვერაფერი იჯარა აღმოჩნდა. ახლა, როცა „ინტერის“ ყველა განთქმული თავდამსხმელი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, მატჩებს უგოლოდ ამთავრებს, რეკობა „ვენეციაში“ ბრწყინვალედ გამოდის და გოლი გოლზე გააქვს. ისე, რომ...

პელეს ვაჟი – „ტრანსფერ-ლისტზე“

პელეს ვაჟი – მეკარე ედინიო დიდხანს წარმატებით თამაშობდა სანპაულუს „სანტოსში“ და თვით „ფეხბურთის მეფე“ უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა, რომ მარიო ზაგალო (მასთან არასოდეს ჰქონდა მაინცდამაინც მეგობრული ურთიერთობა) მას ნაკრებში არ იწვევდა.

ეს იყო წინათ. შემდეგ ედინიომ უარესად დაიწყო თამაში და თვით „სანტოსში“ სათადარიგო მეკარე გახდა. კიდევ უარესი. „სანტოსის“ ახლანდელმა მწვრთნელმა ლეანმ, რომელიც ადრე თვით იყო გამოჩენილი მეკარე, ედინიოს გაყიდვა მოინდომა, რადგან იგი აღარაფრით გამოადგება გუნდს.

ოფიციალური მინვევა მათეუსს

ცნობილმა მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა, რომელიც ახლა „ნიუიორკ ნიუჯერსი მეტროსტარზს“ უდგას სათავეში, ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტანს, 38 წლის ლოთარ მათეუსს.

მათეუსი ამ მიწვევას სიამოვნებით გამოეხმაურა. როგორც გაზეთ „ბილდის“ კორესპონდენტს საუბარში განუცხადა, გაისად უთავდება კონტრაქტი „ბაიერნთან“, რის შემდეგ იფიქრებს ამერიკულ ლიგაში თამაშის გაგრძელებაზე.

ბაბისტუტას უამრავი გოლი

გაბრიელ ბატისტუტას დაბრუნებამ კვლავ იმედებით აღავსო „ფიორენტინას“ ქომაგები. ეს გასაგებიც არის: გუნდის მიერ გატანილი გოლების მესამედი ხომ სწორედ არგენტინელი სნაიპერის ანგარიშზეა.

1991-92 წლების სეზონში ბატისტუტამ „სერია-A“-ში 13 გოლი გაიტანა, 1992-93 წ. – 16. 1994-95 წ. – 26. 1995-96 წ. – 19 გოლი, 1996-97 წ. – 12, 1997-98 წ. – 21. მიმდინარე სეზონში დღეისათვის მას უკვე გატანილი აქვს 19 გოლი, ისე რომ, შეიძლება თავისივე რეკორდის გაუმჯობესებისათვის იბრძოლოს.

„პარი სენ-ჟერმენი“ დაფაცურდა

ცნობილი კლუბი „პარი სენ-ჟერმენი“ საფრანგეთის პირველობაზე მეტად მარცხიანად თამაშობს. ამან გუნდის ხელმძღვანელობა აიძულა ჯიბეზე ხელი გაეკრა. ბოლო ხანებში ერთბაშად სამი თავდამსხმელი მიიწვიეს: მიქაელ მადარი, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა „დეპორტივოსა“ და „ევერტონში“ არცთუ წარმატებით გამოსვლების შემდეგ, ბრუნო როდრიგესი „მეციდან“ და ქსავიე გრავლენი „მონპელიედან“, რომლის ნაცვლად პარიზელებმა დათმეს ერთ დროს მრისხანე ფორვარდი ნიკოლა უედეკი.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ჭადრაკის მერიდიანზე

კასპაროვი: „არავის აინტერესებს და რა ვქნა?!“

ანანდი: „არ ვიცი, მე არავინ არაფერს მეკითხება“

ამასწინანდელ ინტერვიუში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ მისი მატჩი ალექსეი შიროვთან არავითარ შემთხვევაში აღარ გაიმართება, რადგან იგი არავის აინტერესებს. სამაგიეროდ, გამოჩნდა ბევრი სპონსორი მსოფლიოს №1 და №2 მოჭადრაკეების შეხვედრის ჩასატარებლად. კასპაროვმა, ცხადია, იგულისხმა თავისი მომავალი მატჩი ვიშვანათან ანანდთან, რომელიც თითქოს სექტემბერში უნდა გაიმართოს.

ამასთან დაკავშირებით ახლა ბევრს ლაპარაკობენ კასპაროვ-ანანდის მომავალ მატჩზე. ეს შეკითხვა ანანდსაც მისცეს:

— თუ რომელიმე სერიოზული ადამიანი ამ მატჩით დაინტერესდა, დეე, პირადად მე მითხრას. ასახელებენ მეცენატ ბერელ კოკს, მაგრამ მასთან კონკრეტული საუბარი არა მქონია. არ მინდა ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდე, როგორშიც შიროვი იყო. დეე, ყველაფერი ქაღალდზე აღინუსხოს, შემდეგ კი, მოლაპარაკება დაიწყოს. ჯერჯერობით სალაპარაკო არაფერია. ამ მატჩით გარკვეული აზრით კასპაროვი უფრო უნდა იყოს დაინტერესებული.

ანანდი, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ კასპაროვს 1995 წლის შემდეგ თავისი წოდება აღარ დაუცავს, ეს კი მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

ერთად როგორ ითამაშებენ?

როგორც ცნობილია, გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი უკვე კარგა ხანია თავს არიდებენ ერთმანეთთან საერთაშორისო ტურნირებში შეხვედრას. ეს გარემოება რუსეთის საჭადრაკო ფედერაციამ არ გაითვალისწინა, როცა ამ დღეებში თავისი ნაკრებების შემადგენლობა გამოაქვეყნა. გადავხედოთ მას.

ვაჟები: გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი, ვლადიმირ კრამნიკი, პეტერ სვიდლერი, ალექსანდრ მოროზოვიჩი, ევგენი ბარეევი, სერგეი რუბლევსკი, ვადიმ ზვიაგინცევი, კონსტანტინ საკაევი, ალექსანდრ ხალიფმანი, ალექსეი დრეევი.

ქალები: ალისა გალიამოვა, ელენა კოვალევსკაია, სვეტლანა მატვეევა, ტატიანა შუმიაკინა, ტატიანა სტეპოვაია.

ფიდეს სამდივნო ითხოვს

ფიდემ თხოვნით მიმართა ყველა ეროვნულ ფედერაციას მაისის განმავლობაში ჩაატარონ ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირები და შედეგები არა უგვიანეს 31 მაისისა აცნობონ ფიდეს სამდივნოს. ზოგ ზონაში შეჯიბრება უკვე დამთავრებულია. ვინც ამ ასპარეზობას არ ჩაატარებს, იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რა წოდებაც არ უნდა ჰქონდეთ მათ, სექტემბერში მსოფლიო პირველობაზე, რომელიც კიშინიოვში ჩატარდება, არ დაუშვებენ.



„1992 წელს უნდა წავსულიყავი“

სკანდალი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გრძელდება, როგორც იცით, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სწორედ მოიქცეოდა, თუ ჯერ კიდევ 1992 წელს გადადგებოდა.

ამასობაში სხვადასხვა ქვეყნის პრესა აქვეყნებს სოკ-ის წევრების მამხილებელ მასალებს. კერძოდ, თურმე საბერძნეთში სრულიად უკანონოდ ძვირადღირებული საჩუქრები გადასცეს ავსტრალიელ სპორტულ მოღვაწეს, რათა მას ათენის ოლიმპიადისთვის დაეჭირა მხარი.

სიხარულიძე და ბერეჟნაია — მსოფლიო ჩემპიონები

ჰელსინკში დასრულდა მსოფლიო პირველობა ფიგურულ სრიალში, სადაც არაერთი უძლიერესი წყვილი იბრძოდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოს სახელის მოსაპოვებლად. ბედმა კი ამჯერადაც პეტერბურგელთა წყვილს გაუღიმა. ანტონ სიხარულიძემ და ელენა ბერეჟნაიამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საფეხბურთო მატჩზე აკრედიტებულ სპორტულ ჟურნალისტთა დასწრების მოწესრიგებისა და პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელშეწყობის მიზნით, 27 მარტს, ფეხბურთში საქართველოსა და სლოვენიის ნაკრებ გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე შესვლა მოხდება ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის ცენტრალური შესასვლელიდან (გ. ცაბაძის ქუჩა). შესასვლელი მინიშნებული იქნება წარწერით „პრესა, **PRESS**“.

სტადიონზე და პრესლოჟაში დაიშვებიან მხოლოდ ის ჟურნალისტები, რომლებსაც გააჩნიათ 1998 წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გაცემული სპეციალური საკრედიტაციო ბარათი.

ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექცია

FIFA ფიფას რეიტინგი

ფიფამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი, სადაც პირველობას კვლავ ბრაზილია ინარჩუნებს, მეორეა – საფრანგეთი, მესამე – ხორვატია. საქართველოს ცხრილში 54-ე საფეხური უკავია: „ევრო-2000“-ის ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები – ნორვეგია მე-13, საბერძნეთი 34-ე, ლატვია 66-ე, სლოვენია 79-ე და ალბანეთი 92-ე ადგილზეა.

გაიმართა ნბა-ს 24-ე ტურის შეხვედრები: „ინდიანა“ – „ვაშინგტონი“ – 90:86, „ნიუ-ჯერსი“ – „ტორონტო“ – 106:87, „ნიუ-იორკი“ – „ატლანტა“ – 71:80, „დალასი“ – „ლეიკერსი“ – 93:96, „ჰიუსტონი“ – „საკრამენტო“ – 110:100, „მილუოკი“ – „დეტროიტი“ – 115:86, „ფენიქსი“ – „ვანკუვერი“ – 89:84, „სიეტლი“ – „ფილადელფია“ – 92:76.

ასეც ხდება: სტადიონს შვეულმფრენებით გაწმენდენ

ინტერნეტით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბელორუსიაში დიდთოვლობამ საგონებელში ჩააგდო ხელისუფალნი და, ცხადია, ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია. საქმე იმაშია, რომ ბელორუსია — შვეიცარიის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურის მატჩის წინ მინსკის „დინამოს“ სტადიონზე იმდენი თოვლია, ხელით მისი გაწმენდა შეუძლებელია, მინდორზე კი ბულდოზერებს ვერ შეიყვანენ. გამოინახა ერთადერთი გამოსავალი — საშველად შვეულმფრენებს მოუხმეს. ბელორუსიის არმიის სარდლობა დათანხმდა ამ წინადადებას.

იუმორი უსიტყვოდ...

მოკლედ...

● **ველორბოლაში** ვაჟთა მსოფლიო თასის პირველი ეტაპი, რომელიც იტალიის ქალაქებში — მილანი-სანრემო გადიოდა, მსოფლიო თასის ყველაზე გრძელი ტრასა იყო — 294 კმ. სტარტი აიღო 256 მრბოლმა, მათგან ფინიში 169 ველოსიპედისტმა გადაჰკვეთა. გამარჯვებულის საშუალო სიჩქარე საათში 42,752 კმ. აქ უძლიერესი იყო ანდრეი ჩმილი (ბელგია, „ლოტო“) — 6:52.37. 2. ერიკ ცაბელი (გერმანია, „ტელეკომი“), 3. ზბიგნევ სპრუხი (პოლონეთი, „ლიამპრე“, იტალია). ***ჩათვლა.*** 1. ჩმილი — 100, 2. ცაბელი — 70, 3. სპრუხი — 50. 4. გარზელი (იტალია, „მერკატონე უნო“), 5. აუსი (ესტონეთი, „კაზინო“), 6. ვან ბონი (ჰოლანდია, „რაბობანკი“).

● **ჩოგბურთელთა** პოპულარული ასპარეზობის „დევისის თასის“ პირველი წრის მატჩები 2-4 აპრილს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: შვეცია — სლოვაკეთი, გერმანია — რუსეთი, ბრიტანეთი — აშშ, ზიმბაბვე — ავსტრალია, საფრანგეთი — ჰოლანდია, ესპანეთი — ბრაზილია, ბელგია — ჩეხეთი, შვეიცარია — იტალია.

იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები
მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!
გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

ფირმების რეგისტრაცია 1 დღეში და აუდიტი!
შპს „გუმათი“ გთავაზობთ ფირმების რეგისტრაციას ერთ დღეში. აგრეთვე აუდიტორულ მომსახურებას. სპორტული ორგანიზაციებისთვის და საინფორმაციო საშუალებებისთვის მომსახურება შეღავათიანია. (შპს „გუმათი“).

თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის 1957-59 წლების თანაკლასელები და თანაგუნდელები ღრმა სამძიმარს უცხადებენ თამაზ სულთანიშვილს მეუღლის

მანანა
შენგელია-სულთანიშვილის
გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 26, 27.III, 16 სთ. გამოსვენება 28. III. 15 სთ. მისამართი: დიდი დიღომი, პეტრიწის, 15.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს თამაზ სულთანიშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.











საჭადრაკო კროსვორდი

თარაზულად: 1. ქართველი დიდოსტატი ვაჟი *(ფოტო)*, 3. ფიგურა, 4. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, 6. უმაღლესი ჯილდო ჭადრაკში, 9. კრამლინგის სახელი, 10. ინდოელი დიდოსტატი *(ფოტო)*, 11. სვლა, 13 უნგრელი დიდოსტატი ვაჟი, 14, პარტიის დასაწყისი, 16. პირველი ქართველი მოჭადრაკე, თავადი, 19. შრიფტი, რომელსაც უსინათლო მოჭადრაკეებიც იყენებენ, 20. წარსულში მოჭადრაკე და ჟურნალისტი *(ფოტო)*, 21. აშშ-ს ცნობილი მოჭადრაკე, 22. ქართველი დიდოსტატი ვაჟი *(ფოტო)*.

შვეულად: 1. სწრაფი შეტევისთვის თეთრები სწირავენ ფიგურას ან პაიკს, 2. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ქალი, 3. მსოფლიო ჩემპიონი ვაჟი, 5. ფიგურა, 7. ჭადრაკისა და სხვათა თამაშის მოყვარულთა თავშესაყარი, 8. ქართველი დიდოსტატი ქალი, 12. უცხოეთში მოთამაშე ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 13. ფათა ანუ... 15. მსოფლიო ჩემპიონი ვაჟი, 17. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, 18. ჭადრაკის სათამაშო „მოედანი“.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
თარაზულად: 1. ხაბიბი, 5. ბადრო, 7. ტახტი, 9. ენკვისტი, 10. კლეი, 11. კურნიკოვა, 12. სტილი, 13. ჩილავერტი, 14. შავლო, 18. სალტო, 20. იოსელიანი, 21. ბო, 22. რომარიო, 23. ჩუი, 24. სო; **შვეულად:** 1. ხაზალეიშვილი, 2. ბურე, 3. ჯო, 4. იტო, 6. „დეტროიტი“, 8. ივანოვი, 11. კრისტი, 15. ოსკარი, 16. შიფო, 17. რინგი, 18. სამბო, 19. ოტერო.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)

შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ეf4! მუქარა 2. ლd3X.
1. ...ef 2. კf6X. 1. ...ლb1 2. ე:e4X.
1. ...ლb5 2. ლ:e4X. 1. ...კb1 2. მe6X.
1. ...კc4 2. ლ:c3X. 1. ...ე:f4 2. ლd1X.
1. ...ეd1 2. ლ:d1X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი